



საგარეო აუდიტის წერილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
(პროგრამული კოდი 05 00) 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
1.1 მოთხოვნები	4
1.2 არაფინანსური აქტივები	4
1.3 საცნობარო მუხლი	5
1.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	6
1.5 კაპიტალი	7
1.6 აქტივების ინვენტარიზაცია	7
2. სხვა საკითხთა აზიზი	8
2.1 მივლინება.....	8
2.2 შრომის ანაზღაურება.....	9
2.3 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი.....	10
2.4 პროგრამული ბიუჯეტი	10

ტერმინთა განმარტება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - **სამინისტრო;**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს რესურსცენტრი - **რესურსცენტრი;**
სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი - **მუსიკალური ცენტრი;**
ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა - **სასპორტო სკოლა;**
სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი - **ანსამბლი ბათუმი;**
სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმი - **ხელოვნების მუზეუმი;**
სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი - **არქეოლოგიური მუზეუმი;**
სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო - **სააგენტო;**
ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლი - **მწერალთა სახლი;**
ა(ა)იპ - მეღვინეობის ბაღანჩივადის ხელოვნების სკოლა - **ბაღანჩივადის ხელოვნების სკოლა;**
ა(ა)იპ - ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი - **საჩოგბურთო კომპლექსი;**
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა - **სალიბაურის საჯარო სკოლა;**
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა - **ჩაისუბნის საჯარო სკოლა;**
ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა - **ხალხური ხელოვნების სკოლა;**
ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე - **თანამედროვე ხელოვნების სივრცე;**
სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - **დრამატული თეატრი;**
საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი - **დეპარტამენტი.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული მოთხოვნები 17,415 ლარით, უზუსტოდ, შემცირებულადაა წარმოდგენილი, კერძოდ:

- არქეოლოგიურ მუზეუმს, შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით მიმწოდებელზე გადახდილი ავანსი 12,578 ლარი, ნაცვლად „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ ანგარიშისა, ასახული აქვს „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშზე. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დაშვებული შეცდომით.

- სააგენტოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მიმწოდებელზე დარიცხული პირგასამტეხლო - 4,837 ლარი. აღნიშნული გარემოება განპირობებულია პირგასამტეხლოს დარიცხვის თაობაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ საბუღალტრო სამსახურისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობით.

მოთხოვნების არაზუსტად (შემცირებულად) წარმოდგენა იწვევს შესაბამის იურიდიულ პირებზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არასწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და წარმოშობს დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო ასიგნების დაუსაბუთებელი მოთხოვნისა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია N1.

სსიპ - ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს

ბუღალტრული კორექტირების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებებში მოთხოვნების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა. ამასთანავე, დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების სათანადო მონიტორინგით, მიწოდებული შესრულებული სამუშაოს/მომსახურების ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფს მოთხოვნების ზუსტ აღრიცხვას.

1.2 არაფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არაფინანსური აქტივების ღირებულება 806,751 ლარით, უზუსტოდ არის ასახული და ძირითადად განპირობებულია:

- მწერალთა სახლზე უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემული 710,599 ლარის ღირებულების აქტივები, ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად სხვა შემოსავლებისა, ასახულია გრანტებში.

- ანსამბლ „ბათუმის“, ხელოვნების მუზეუმის და ბალანჩივადის ხელოვნების სკოლის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯამში - 48,543 ლარით შემცირებულია ძირითადი აქტივების ღირებულება და გაზრდილია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულება.

- ჩაისუბნის საჯარო სკოლის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია ძირითადი აქტივების ღირებულება 17,771 ლარით, ხოლო შემცირებულია მატერიალური მარაგების ნაშთი - 5,028 ლარით.

• საჩოგბურთო კომპლექსის ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების საინვენტარიზაციო მასალებით, ფაქტობრივად არსებული აქტივების ღირებულება 7,297 ლარით შეუსაბამოა, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებთან.

• ანსამბლ „ბათუმის“ მიერ შეძენილი ფონოგრამის ღირებულება - 6,437 ლარი, ნაცვლად „აქტივებში“ ასახვისა, ჩამოწერილია „ხარჯებში“.

• არქეოლოგიურ მუზეუმს „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ შემცირების ხარჯზე, ფინანსურ ანგარიშგებაში 5,820 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი ძირითადი აქტივები.

• სალიბაურის საჯარო სკოლის და ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ შეძენილი და შექმნილი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, ამიტომ აქტივების ნაშთი 4,086 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

• თანამედროვე ხელოვნების სივრცის მიერ 1,170 ლარით შემცირებულია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ღირებულება და გაზრდილია ძირითადი აქტივების ღირებულება.

ზემოაღნიშნული უზუსტობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული. შესაბამისად, სამინისტრო არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონსოლიდირებულ ბალანსში შემავალი იურიდიული პირების აქტივების რეალური ღირებულების შესახებ.

რეკომენდაცია N2.

ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლს

სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალურ ანსამბლ „ბათუმს“

სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმს

ა(ა)იპ - მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლას

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსს

სსიპ - ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლას

ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცეს

გასწორდეს არსებული შეცდომები მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე მნიშვნელოვანია, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც უზრუნველყოფს მიღებული აქტივების სრულ აღრიცხვას, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად მომზადებას, აქტივების რეალური ღირებულების შესახებ სწორი ინფორმაციის წარმოდგენას და აქტივების სწორად კლასიფიკაციას.

1.3 საცნობარო მუხლი

გამოვლენილი გარემოებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საცნობარო მუხლში ამორტიზებული ძირითადი აქტივების ღირებულება 1,225,525 ლარით უზუსტოდ, შემცირებულადაა წარმოდგენილი. აღნიშნული განპირობებულია სამინისტროში შემავალი იურიდიული პირების მიერ შეცდომით/არასწორად განხორციელებული ფინანსური აღრიცხვით, კერძოდ:

- მუსიკალური ცენტრის მიერ 1,190,249 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლებიც ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში აღრიცხვას, არ არის ასახული.
- ხელოვნების მუზეუმის მიერ 35,276 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლებიც ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში ასახვას, არ არის ასახული.

ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში აქტივების ღირებულებითი აღურიცხაობა, არ იძლევა მხარჯავი დაწესებულების მფლობელობაში არსებული აქტივების რეალური ღირებულების შესახებ

ინფორმაციას და წარმოშობს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერად განკარგვის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N3.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს

სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმს

სრულად ამორტიზებული, ნულოვანი ნარჩენი ღირებულების აქტივების არსებობასა და დაცულობაზე კონტროლის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს ისტორიული ღირებულებით მათი საცნობარო მუხლში ასახვა, რაც აღმოფხვრის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერად განკარგვის რისკს.

1.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა), 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 51,652 ლარით არასწორად არის ასახული, რაც გამოწვეულია ცვეთის ნორმების არასწორი გამოყენებით. ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოდგენილია ცხრილში.

N	მხარჯავი დაწესებულება	შემთხვევათა რაოდენობა	დარიცხულია მეტი	დარიცხულია ნაკლები	სულ უზუსტობა
1	სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	45	779	22905	23684
2	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	38	0	9210	9210
3	სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	12	2190	437	2627
4	ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლი	18	3148	0	3148
5	ბათუმის რესურსცენტრი	4	1532	0	1532
6	ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდი	4	1219	0	1219
7	ა(ა)იპ - ბათუმის სასპორტო სკოლა	13	351	8507	8852
8	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	8	1016	364	1380
ჯამი:		142	10235	41423	51652

ძირითადი კაპიტალის მოხმარების არასწორად ასახვა წარმოშობს არაფინანსური აქტივების ნარჩენი ღირებულების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შეუსაბამობას რეალურ მდგომარეობასთან.

რეკომენდაცია N4.

სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს

ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლს

ბათუმის რესურსცენტრს

ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდს

ა(ა)იპ - ბათუმის სასპორტო სკოლას

სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრს

ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კანონმდებლობის მოთხოვნით უზრუნველყოფს ძირითადი კაპიტალის მოხმარების და ძირითადი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების სისწორესა და სიზუსტეს.

1.5 კაპიტალი

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი 60,133 ლარით უზუსტოდაა წარმოდგენილი, რაც მხარჯავი დაწესებულებების მიერ აღრიცხვაში დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული, კერძოდ:

- ხელოვნების მუზეუმის მიერ გაუნაწილებელი მოგების შემცირების ხარჯზე, საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიში 48,607 ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი.
- ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის მიერ საბალანსო მონაცემებში - „წმინდა ღირებულება“ 11,526 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N5.

სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმს

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ უზრუნველყოფილ იქნეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული შეცდომების სწორი კლასიფიცირება. შეცდომების გასწორება განხორციელდეს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და ასახული იქნეს განმარტებით შენიშვნებში.

1.6 აქტივების ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალ იურიდიულ პირებს 2017 წელს, მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, არ განუხორციელებიათ აქტივების ინვენტარიზაცია, რაც ძირითადად გამოწვეულია აღრიცხვა-ანგარიშგების არასრულყოფილი წარმოებით, კერძოდ:

- ხულოს რესურსცენტრს არ განუხორციელებია ბალანსზე რიცხული 110,134 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია.
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს არა აქვს განხორციელებული 66,696 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია.
- 2017 წელს მუსიკალური ცენტრის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, როკ-ოპერა „ქეთო და კოტეს“ დეკორაციები და რეკვიზიტები, ღირებულებით 184,100 ლარი, ინახება სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, თუმცა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მოცემული აქტივების შენახვას, ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენს, 2012 წლის 15 თებერვალს შპს „ბიზნეს პროტოკოლი პლუსზე“ სასყიდლიანი იჯარით გაცემული ქონების ნაწილს, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო 2012 წლის 31 მაისამდე სრულად, რაც დღემდე არ განხორციელებულა. აუდიტის პერიოდში, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ მასალები გადაგზავნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აქტივების ფაქტობრივად არსებობასა და სისრულეზე.

რეკომენდაცია N6.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოს - ხულოს რესურსცენტრს
სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს
საქვეყნებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს

აქტივების არსებობისა და წარმოშობის დადასტურების, მათ მდგომარეობასა და დაცულობაზე კონტროლის მიზნით, განხორციელდეს ბალანსზე რიცხული აქტივების სრული ინვენტარიზაცია, ხოლო შეფასების შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნეს შედეგების დროული რეალიზაცია. ასევე განხორციელდეს მოთხოვნა - ვალდებულებების ინვენტარიზაცია დავალიანებათა რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების შესაძლებლობის და ბალანსიდან ჩამოწერის სხვა საფუძვლების შეფასების მიზნით და ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. სხვა საკითხთა აზრები

2.1 მივლინება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ თანამშრომლებზე მივლინებისათვის გადახდილი 11,061 ლარი - ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად, ჩამოწერილია ხარჯებში, კერძოდ:

ანსამბლი „ბათუმი“ - 6,071 ლარი, კერძოდ:

- 2017 წლის 30 მარტიდან 2 აპრილამდე ანსამბლის წევრები მივლინებულნი არიან ქალაქ თბილისში, რასთან დაკავშირებითაც 15 თანამშრომელზე ჯამში ანაზღაურებულია 4,950,0 ლარი, ასევე გამოყოფილია სამსახურებრივი სარგებლობის ავტომანქანა და საწვავი. ანსამბლის წევრების მიერ ღამისთევის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, სასტუმროს მიერ გაცემული ფისკალური ჩეკი და ინვოისი, თუმცა მივლინებისათვის გამოყოფილ ავტომანქანაზე, მივლინების პერიოდში საწვავის ჩასხმა ფიქსირდება ქალაქ ბათუმში, რაც ადასტურებს, რომ მივლინებისას სამსახურებრივი ავტომანქანით არ უსარგებლიათ. გარდა აღნიშნულისა, სატელეფონო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 9 თანამშრომლის ქალაქ თბილისში ფაქტობრივად ყოფნა მივლინების პერიოდში არ ფიქსირდება. აღნიშნულ პირობებში, მივლინებისათვის მათზე გადახდილია 3,211 ლარი.

- ანსამბლ „ბათუმის“ დირექტორის ბრძანებით, ანსამბლის 5 თანამშრომელი სხვადასხვა პერიოდში მივლინებული არიან ქალაქ თბილისში და ჯამში გადახდილია 2,860 ლარი. ღამისთევის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, სასტუმროს მიერ გაცემული ფისკალური ჩეკი და ინვოისი. ამავე დროს, სატელეფონო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პირების მივლინების პერიოდში ქ. თბილისში ფაქტობრივად ყოფნა არ დასტურდება.

მუსიკალური ცენტრი - 4,990 ლარი, კერძოდ:

- მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით, სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევანში მივლინებულია ცენტრის ორი თანამშრომელი. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებით ირკვევა, რომ მუსიკალური ცენტრის ერთი თანამშრომელი ფიზიკურად არ იმყოფებოდა მივლინების ბრძანების შესაბამისად დანიშნულების ადგილზე, ხოლო მივლინებისათვის გამოყოფილი ავტომანქანით არ განხორციელებულა მივლინებაში გამგზავრება. აღნიშნულ პირობებში მივლინებისათვის გაცემულია 1,730 ლარი.

- მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით, 2017 წლის 20 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით, თურქეთის რესპუბლიკაში მივლინებული იყო ცენტრის დირექტორი და მძღოლი. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მივლინების ბრძანებით განსაზღვრული სრული

პერიოდის განმავლობაში დირექტორი არ იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ, მას 2017 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული აქვს საზღვრის კვეთა და იმავე დღეს დაბრუნებულია საქართველოში. მიუხედავად აღნიშნულისა, მძღოლი, რომელსაც ევალეზოდა მივლინების დროს ავტოსატრანსპორტო საშუალებით მომსახურებოდა დირექტორს, არ დაბრუნებულა საქართველოში და მასზე ანაზღაურებულია სრული სამივლინებო პერიოდის ხარჯი. შედეგად, სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯის გაწევისა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობის პირობებში, ჯამში გადახდილია 3,260 ლარი.

ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, მივლინებისათვის გაცემული თანხების ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად, ხარჯებში ჩამოწერა წარმოშობს საბიუჯეტო რესურსის არამიზნობრივად/არადანიშნულებით ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N7.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს

სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლ ბათუმს

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, ამასთანავე დაბრუნებული იქნეს ბიუჯეტში სათანადო მტკიცებულებების გარეშე გახარჯული სამივლინებო თანხები და შემუშავებული იქნეს ეფექტური კონტროლის მექანიზმები რომელიც აღმოფხვრის საბიუჯეტო სახრების არამიზნობრივად/არადანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

2.2 შრომის ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგო

გამოვლენილი გარემოებები

აუდიტის პერიოდში მუსიკალურ ცენტრში, საშტატო განრიგით დასაქმებულია 2 (ორი) იურისტი, მათ შორის, 1 (ერთი) იურისტი იმავდროულად დასაქმებულია შტატგარეშე თანამშრომლად, თანაშემწე იურისტის თანამდებობაზე და მასზე 2017 წელს გაცემული შრომის ანაზღაურება ჯამში 21,300 ლარს შეადგენს (ძირითადი საშტატო ერთეულით 15,300 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებით 6,000 ლარი), თუმცა შტატით დასაქმებული პირის, იმავდროულად შტატგარეშედ დასაქმების აუცილებლობა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება და აღნიშნული შესაძლოა თანამდებობრივი სარგოს ზრდაზე იყოს მიმართული.

რეკომენდაცია N8.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს

ბიუჯეტის დაგეგმვისა და საშტატო ერთეულის დამტკიცების ეტაპზე, სრულყოფილად იქნეს იდენტიფიცირებული საჭირო, რეალური საშტატო რიცხოვნება და შესაბამისი შრომის ანაზღაურების ფონდი, რაც შემდგომში აღმოფხვრის თანამდებობრივი სარგოს ხელოვნურად ზრდის რისკებს.

დანამატი

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსში შემავალი იურიდიული პირების მიერ 2017 წელს დანამატის სახით გაცემულია 615,831 ლარი. კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან დანამატის გაცემის ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდაცია N9.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ბათუმის რესურსცენტრს
ქობულეთის რესურსცენტრს
ხელვაჩაურის რესურსცენტრს
ქედის რესურსცენტრს
შუახევის რესურსცენტრს
ხულოს რესურსცენტრს
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

2.3 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი

გამოვლენილი გარემოებები

სასპორტო სკოლის ფინანსური ანგარიშგებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტზე გაწეულია 8,148 ლარის ხარჯი, მათ შორის, 6 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირთან და გადახდილია 7,070 ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მიმწოდებლის საქმიანობის სახეა საბურავების შეკეთება, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებულია სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების სამუშაოები, თუმცა მიმწოდებლის განმარტებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში სამუშაოებს ასრულებინებდა სხვა სახელოსნოში და თვითონვე უნაზღაურებდა თანხას, ხოლო რიგი სამუშაოებისათვის ფულს ხელზე უბრუნებდა სკოლის წარმომადგენელს, შემდგომი შეკეთების მოტივით. აღნიშნული მიუთითებს საბიუჯეტო თანხების გარიგებით ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N10.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლას

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, ამასთანავე დაბრუნებული იქნეს ბიუჯეტში სათანადო მტკიცებულებების გარეშე სატრანსპორტო საშუალებების შესაკეთებლად გახარჯული თანხები და შემუშავებული იქნეს ეფექტური კონტროლის მექანიზმები რომელიც აღმოფხვრის საბიუჯეტო სახრების არამიზნობრივად/არადანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

2.4 პროგრამული ბიუჯეტი

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს 2017 წელს დამტკიცებული პროგრამით, შესრულებულია ბიუჯეტის 91,9%, მათ შორის, 10%-ზე მეტით შეუსრულებელია 12 ქვეპროგრამა. პროგრამის შეუსრულებლობა თანხობრივად შეადგენს 1,386,494 ლარს, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგით:

✓ **კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება** - შეუსრულებელია 26% - 402,134 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ძირითადად ვერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- 121,725 ლარი - ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები შეწყვეტილია, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.

- 97,000 ლარი - „საბავის სახლის“ რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა დასრულდა უარყოფითი შედეგით.

- 80,000 ლარი - შეჩერდა პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან 2017-2019 წლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

✓ **საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა** - შეუსრულებელია 100% ანუ - 300,000 ლარი. ქვეპროგრამის მიზანია, აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტში საპანსიონო ინფრასტრუქტურის შექმნა. პროგრამის განხორციელებლობა საპანსიონო სწავლებისადმი მიდგომის ცვლილებამ¹ განაპირობა, რაზედაც სამინისტროს მიერ წარმოდგენილია განმარტება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 27 აპრილის NMES 1700417092 წერილი. აღნიშნული წერილის შემდეგ განხორციელებულია ცვლილებები კანონით² და შიდა მუხლობრივი გადანაწილებით, თუმცა აუთვისებული თანხის შემდგომში სხვა მიზნებით განკარგვასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ აქტივობა არ არის განხორციელებული.

✓ **სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა** - შეუსრულებელია 21% - 244,938 ლარი. შესაბამისი თანხების აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში, თოჯინების თეატრისათვის განათების აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებით, 2017 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო გადახდა ვერ განხორციელდა, საბანკო გარანტიის დროულად წარმოუდგენლობის გამო.

რეკომენდაცია N11.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

საბიუჯეტო სახსრებზე ეფექტიანი კონტროლის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და დასახული პრიორიტეტული მიზნების სრულყოფილად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით, განახორციელოს აუთვისებული ასიგნების, სხვა მიზნებისათვის გადანაწილება ან განახორციელოს ბიუჯეტში შესაბამისი კორექტირება.

¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 27 აპრილის NMES 1700417092 წერილის შესაბამისად დაგეგმილია 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა-პანსიონების, პანსიონურ ნაწილში პირველ კლასელთა ჩარიცხვის პროცედურის შეჩერება.

² 27.06.2017წ. კანონი უ.ს.რ.ს N46 და შიდა მუხლობრივი გადანაწილებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური | სარეკომენდაციო წერილი

